



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საერთაშორისო ურთიერთობები

International Relations

ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი

Business - Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი **ზურაბ კვეტენაძე**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

Master of International Relations.

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

Will be awarded after the completion of 120 credits.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, აღზარდოს მკვლევართა ახალი თაობა, რომელიც შეძლებს, საერთაშორისო კვლევების კონტექსტში, თანამედროვე საერთაშორისო პრობლემათა შესწავლას და გააზრებას მოწინავე მეცნიერული მეთოდოლოგიის და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით. ამავ დროს, ის ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ლიბერალური ღირებულებების გავრცელებას, ახალი თაობის მკვლევართა ურთიერთდაკავშირებას და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჩართვას. სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული დისციპლინებისა და პრაქტიკული საკითხების შესწავლაზე, ასევე თანამედროვე პრობლემატიკის ანალიზზე პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერებების თანამედროვე დღისწესრიგის გათვალისწინებით.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი ცოდნა მისცეს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდებში, თეორიებსა და სუბდისციპლინებში, რათა ისინი მოამზადდნენ ერთი მხრივ პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხრივ კი სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისათვის. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აწვდის და უვითარებს ფართო და ამავ დროს სპეციფიკურ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეულ მიმართულებებში. სტუდენტებს უვითარდებათ მაღალი დონის კვლევითი უნარ-ჩვევები, სწავლობენ თუ როგორ უნდა გააანალიზონ პრობლემები, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიფართოვონ თეორიული თვალსაწიერი, განავითარონ და დახვეწონ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინონ დამოუკიდებელი კვლევითი ჩვევები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული

აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენტურობები)

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და პრაქტიკული დღისწესრიგის სიღრმისეული ცოდნა;
- აცნობიერებს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობას და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევების ხასიათს.
- საერთაშორისო და ევროპულ პოლიტიკაში საქართველოს და ზოგადად კავკასიის რეგიონის მნიშვნელობის ღრმა და სისტემური ცოდნა;
- საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის, ეკონომიკისა და საზოგადოების ტრანსფორმაციის ზოგადი კანონზომიერებებისა და სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე, განვითარების განსხვავებულ შესაძლებლობათა ღრმა და სისტემური ცოდნა;
- საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითადი საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- აქვს საერთაშორისო ურთიერთობების არსებული ძირითადი საკითხების/თემების იდენტიფიცირების და მათი კვლევის და ანალიზის ანარი
- საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, მათ შორის კრიზისულ ვითარებაში
- პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის, ალტერნატივების შემუშავებისა და მათ შორის საუკეთესოს შერჩევის უნარი;
- სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალური პროცესების პოლიტიკურ სისტემებზე გავლენის ანალიზის უნარი.

დასკვნის უნარი

- აქვს სოციალურ მეცნიერებებში არსებული თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით მონაცემების შეგროვების, ანალიზის და შედეგად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- აქვს საექსპერტო დასკვნის უნარი

კომუნიკაციის უნარი

- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით შესაბამისი იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და ვიზუალური კომუნიკაციის უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აქტუალურ თემებზე სამეცნიერო ხასიათის წერილებისა და სტატიების წერა;
- აქვს ჯგუფში მუშაობისათვის აუცილებელი კომუნიკაციის უნარი

სწავლის უნარი

- შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და გაიფართოვოს ცოდნა შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის და ემპირიული გამოცდილების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით

ღირებულებები

- მულტიკულტურულ გარემოსთან ადაპტაციის და ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარი
- აქვს სამეცნიერო კვლევის ეთიკის ცოდნა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი დამოუკიდებელი მუშაობა სამაგისტრო ნაშრომი

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს.

გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

-შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა

ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. **ინდექციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.**

15. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

18. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

21. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიაური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
- დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს;

ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი დამოუკიდებელი მუშაობა სამაგისტრო ნაშრომი/

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

<http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

- საჯარო დაწესებულებები;
- არასამთავრობო სექტორი;
- საერთაშორისო მთავრობათშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- დიპლომატიური სამსახური;
- აკადემიური სფერო;

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ შემდეგი პროფესორ მასწავლებლები:

1. სრული პროფესორი იგორ კვესელავა;
2. სრული პროფესორი თენგიზ გრიგოლია;
3. სრული პროფესორი მურმან პაპაშვილი;
4. სრული პროფესორი ვაჟა შუბითიძე;
5. სრული პროფესორი მერაბ ახოზაძე;
6. სრული პროფესორი მიშველაძე რეზო;

7. სრული პროფესორი აბდუშელიშვილი გივი;
8. სრული პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი;
9. ასოცირებული პროფესორი ავთანდილ კიკნაძე;
10. ასოცირებული პროფესორი ამირგულაშვილი მაია;
11. ასოცირებული პროფესორი კვეტენაძე ზურაბი;
12. ასოცირებული პროფესორი გვენეტაძე ედიშერი;
13. ასოცირებული პროფესორი ჯიჯეიშვილი ქეთევანი;
14. ასოცირებული პროფესორი ჯიქია მარი.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 23

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		სულ, კრედიტები
		სემესტრი I	სემესტრი II	სემესტრი III	სემესტრი IV	
	სასწავლო კომპონენტი:					
1	სასწავლო კურსები	30	25	20		75
	კვლევითი კომპონენტი:					
2	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი		5			5
3	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი			10		10
4	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა				30	30
ECTS	სემესტრში	30	30	30	30	120
კრედიტები	კურსზე	60		60		120

სამაგისტრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
		სპეციალობის სავალდებულო საგნები				
1.	BSC0007-P BSC0007-P BSC0007-P BSC0007-P	1. ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური), 2. ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული), 3. ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული), 4. ბიზნესკომუნიკაცია (რუსული).	არ გააჩნია	5		
2.	RMIR007-LS	საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის	არ გააჩნია	5		

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
		მეთოდები				
3.	POLP007-LS	პოლიტიკური ფილოსოფია	არ გააჩნია	5		
4.	MIIP007-LS	საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	არ გააჩნია	5		
5.	CDMT007-LS	კონფლიქტები და გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიები	არ გააჩნია	5		
6.	TPT0007-LP	1. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური),			5	
		2. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული),				
		3. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული),				
		4. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)				
7.	DFC0007-LS	საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატია	არ გააჩნია		5	
8.	CTIR007-LS	საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები	საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები		5	
9.	WMA0007-LS	მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური რუკის რეგიონალური პროცესების კვლევის ანალიზი	არ გააჩნია		5	
10	ECDIP07-LS	ეკონომიკური დიპლომატია	საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატია			5
11	CPIL007-LS	საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	არ გააჩნია			5
		სამაგისტრო პრაქტიკა				5
		არჩევითი ბლოკი				
12	ELTE007-LS	საარჩევნო ტექნოლოგიები	არ გააჩნია	5		
13	GNWO007-LS	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	არ გააჩნია	5		
14	PIMG007-LS	პოლიტიკური იმიჯოლოგია	არ გააჩნია		5	
15	TGAN007-LS	გლობალიზაცია და ნაციონალიზმის თეორიები	არ გააჩნია		5	
16	PLE0007-LS	პოლიტიკური ლიდერობა და ელიტიზმი	არ გააჩნია			5
17	INW0007-LS	ინფორმაციული ომი	არ გააჩნია			5
			სემესტრში	30	25	20
			წელიწადში	55		20
			სულ		75	

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	BSC0007-P	ბიზნესკომუნიკაცია	+	+		+	+	
2.	RMIR007-LS	საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები	+	+	+		+	
3.	POLP007-LS	პოლიტიკური ფილოსოფია	+	+				+
4.	MIIP007-LS	საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	+	+	+			
5.	CDMT007-LS	კონფლიქტები და გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიები	+	+		+		
6.	TPT0007-LP	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	+	+		+	+	
7.	DFC0007-LS	საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატია	+	+			+	
8.	CTIR007-LS	საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები	+	+	+		+	
9.	WMA0007-LS	მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური რუკის რეგიონალური პროცესების კვლევის ანალიზი	+	+	+			
10.	ECDIP07-LS	ეკონომიკური დიპლომატია	+	+	+	+	+	
11.	CPIL007-LS	საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	+	+	+			
12.	ELTE007-LS	საარჩევნო ტექნოლოგიები	+	+	+			
13.	GNWO007-LS	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	+	+	+		+	
14.	PIMG007-LS	პოლიტიკური იმიჯოლოგია	+	+		+		
15.	TGAN007-LS	გლობალიზაცია და ნაციონალიზმის თეორიები	+	+	+		+	
16.	PLE0007-LS	პოლიტიკური ლიდერობა და ელიტიზმი	+	+		+		
17.	INW0007-LS	ინფორმაციული ომი	+	+	+			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საათები საგანი	საათი		ლექცია	სემინარი (მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა	
			ECTS									
1.	BSC0007-P	ბიზნესკომუნიკაცია	5/135		15		45					90
2.	RMIR007-LS	საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები	5/135		15	30						90
3.	POLP007-LS	პოლიტიკური ფილოსოფია	5/135		15	30						90
4.	MIIP007-LS	საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	5/135		15	30						90
5.	CDMT007-LS	კონფლიქტები და გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიები	5/135		15	30						90
6.	TPT0007-LP	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5/135		15		30					90
7.	DFC0007-LS	საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატია	5/135		15	30						90
8.	CTIR007-LS	საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები	5/135		15	30						90
9.	WMA0007-LS	მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური რუკის რეგიონალური პროცესების კვლევის ანალიზი	5/135		15	30						90
10.	ECDIP07-LS	ეკონომიკური დიპლომატია	5/135		15	30						90
11.	CPIL007-LS	საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	5/135		15	30						90
		სპეციალობის არჩევითი საგნები	15/405		90	90						225

პროგრამის ხელმძღვანელი

ზურაბ კვეციანი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

გურამ ჯოლია

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
4 ივლისი 2012 წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიმიფური